

## კუდივნი

უკრაინის თავისუფლებისთვის  
დაფუძულ ყველა უკრაინელსა და ქართველს,  
ხაქართველოსთვის დაფუძულ ყველა  
ქართველსა და უკრაინელს

აღექსანტოს პეტერენს,  
29 წლის უნიჭიერეს ამერიკულ მკვლევარს,  
რომელიც ჩემი ბიოგრაფიის წერის პერიოდში  
ურთირისტებს ემსხვერპლა ქაბელის  
კაფეს აფეთქებისას

## სხვევ

დედაჩემს, გიული ალანიას, ნამდვილ გმირს,  
რომელმაც მეც მასნავდა უსამართლობასთან და  
ბორიტებასთან შეუგეებლობა და ყველაზე უიმედო  
ხილუაციებშიც კი ბრძოლა.

რედაქტორი:  
მიხეილ ანთაძე

სტილისტ-რედაქტორი:  
ნინო დეკანოიძე

ოპერატორი:  
თამარ ჩიხლაძე

კომპიუტერული უზრუნველყოფა:  
თენგიზ რობიტაშვილი

დიზაინი:  
მერი მესხიშვილი  
ინგა ხატიაშვილი

სააკაშვილი მ. ნ. ძალის გამოღვიძება.  
ჩემი გზავნილი ახალი თაობის ლიდერებს

მიხეილ სააკაშვილი © 2024

მეორე გამოცემა

მ. ნ. სააკაშვილი, 2016 ა.ვ. კრასოვიცკი, 2016

ქართული გამოცემა ③  
საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2024  
მისამართი: მ. კოსტავას ქ. 77ა, თბილისი 0171,  
საქართველო.  
ტელ.: 032 2 55 22 22

ყველა უფლება დაცულია. დაუშვებელია წინამდებარე გამოცემის რომელიმე ნაწილის გამოქვეყნება, თარგმნა, ხელახალი პუბლიკაცია ან გადაცემა ნებისმიერი ფორმით თუ საშუალებით, ელექტრონულად (CD-Rom, ინტერნეტი, ა.შ.), მექანიკურად, მათ შორის, ასლის გადალების, ჩაწერის, ინფორმაციის შენახვის თუ ამოღების ნებისმერი სისტემის მეშვეობით, საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე.

ISBN 978-9941-9896-5-0

მიხეილ სახაშვილი

ქალის  
გამოღვიძება

ჩემი გზავნილი ახალი  
თაობის ლიდერებისთვის



## ს ა რ ჩ ი ვ ი

მიხეილ ანთაძე

„აგვივენად ყველაზე მატაფ შენება მიყვარს“ ..... 7

საქართველოს განვითილები —

უკრაინის გამოცდილება

13

შესავალი .....	15
უკრაინა ჩემს ცხოვრებაში .....	19
ჩემი ოჯახი. პირველი ნაბიჯები პოლიტიკაში .....	42
არტებში გატარებალი ერთი თვე .....	54
ეროვნები მესტი .....	58
ვარდების რევოლუცია .....	81
ჰიმნი .....	101
დროშა .....	102
აზალის დაზრუნება .....	103
რევოლუციას დრო .....	116
ახალი ცხოვრება .....	131
კანონი და წასრიგი .....	153
ქართული რევოლუციის შავამება .....	177
ქალაქები და ხალხი .....	179
ომი .....	215
აკტარა ქვეყნა დიდ სამყაროში .....	266
შემდგარი სახელმწიფო .....	313
ჩემი „ქალი კანები“ .....	333
ელუალდი, ნიკაშა, ალისა, ყასმინეა .....	340
ძალის გამოლიპირება. ახალი უკრაინული „ტალღა“ .....	345
მოუხალთაგალი წევი .....	395
მოგონებაზე მსოფლიო ლიდერებზე,	
რომელებთანაც მიმართო .....	425
აორა სოროსი .....	427
გენერალი დავიდ პატრიუსი .....	437
ბილ და ჰილარი კლინტონები .....	445
ლახ კაჩინსკი .....	452
ნიკოლა სარკოზი .....	459
რიჩარდ ჰოლდენი .....	466
აორ მარკარიძე .....	472
აორა ბაში და ბარა ობარა .....	482

ბორის ელიაშვილი და ბორის ნემცოვი.....	489
ფონაშვილ ტრაგეი.....	498
საქასტიან პირეიონა.....	508
კონდოლიზა რაისი.....	513
ალექსანდრ ლუკაშვილ .....	517
ვოლოდიმერ ზელაცეა.....	524
ქახა ბარაშვილი .....	531
ეპილოგის მაგივრა.....	536
ბოლოთქმა .....	556
დანართი .....	565
რატომ მოვდიოდ საქართველოში და რატომ	
ახლა? ჩამოსვლის წარუადგაყი მცდელობაში.....	567
უკანინალი ცხოვრება და ფიქრები	
საქართველოზე.....	575
გზა ოდესიდან რასთავის ციხეში .....	583
ციხის ცენტრი .....	587
ახასობები რა სდებოდა პოლიტიკის?	595
ჩემი მონაცემები ციხეში და გადაყვანა ვიკიპედია.....	610
ჩემი თავგანიხილვა საქართველოსთვის .....	614
ოლიგარქის „სასამართლო“ .....	618
როგორ მუშაობს სისტემა .....	624
ახალი მსოფლიო წასრიგი და საქართველო .....	630
Appendix.....	636
ზოგიერთი შეცნების და პროცესის ისტორია.....	641
ჩემი ეკონომიკური ხალვის ძირითადი თემისები....	651
მიხეილ საქართველოს სიტყვა, წართხული	
2021 წლის 21 დეკემბრის აქციაზე.....	666
რას 36ანობა.....	671
ფიქრები დღეს .....	673
მიხეილ საქართველოსადმი მიძღვნილი სტატიები....	677
TBILISI JOURNAL: THE 'MAN OF THE YEAR', JUST 29 AND VIA MANHATTAN.....	679
LUNCH WITH THE FT: MIKHEIL SAAKASHVILI.....	683
MARCHING THROUGH GEORGIA.....	690
UKRAINE'S MOST POPULAR POLITICIAN.....	712
THE WORLD CAN'T ALLOW THE EX-PRESIDENT TO DIE IN DETENTION.....	717
THE SLOW-MOTION MURDER OF MIKHEIL SAAKASHVILI .....	721
ცენტრის ფრანგი მოლვანის ბარები-ანის ლევის	
გამოსვლა .....	726
საჭიროება.....	733

# „ამქეყნად ყველაზე ძეგად შენება მიყვარს“

ეპთული გამოცემის  
რედაქტორის წინათქმა

მკითხველს, რომელიც წინამდებარე წიგნს გადაშლის და ტექსტში შეაბიჯებს, უკანდასახევი გზა მოჭრილი აქვს, უეჭველად ბოლომდე გაივლის მანძილს წინათქმიდან ბოლოთქმამდე, რადგანაც მიხეილ სააკაშვილის „ძალის გამოღვიძება“ მძაფრსიუჟეტიანი სათავგადასავლო რომანივით იკითხება. აქვს კიდევაც მძაფრი სიუჟეტი, ოღონდაც ბელეტრისტული პროზისგან განსხვავებით, აქ მოთხრობილი ამბავი გამონაგონი კი არ გახლავთ, არამედ სინამდვილეა, თანამედროვე კაცობრიობის დრამატული პერიპეტიიების მართალი და გულწრფელი ასახვაა. მოქმედება ძირითადად ორ ქვეყნაში ერთდროულად ვითარდება — საქართველოსა და უკრაინაში. გასაოცარი, და ეგებ, მსოფლიო ისტორიაში უპრეცედენტოც იყოს საბჭოთა იმპერიიდან დე იურე თავდახსნილი და დღემდე დე ფაქტო დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ამ ორი ქვეყნის პოლიტიკური ბედის მსგავსება, მსგავსება კი არა, ფაქტობრივად, იდენტურობა, სიტუაციის, კოლიზიების, გამოწვევების იგივეობა. საქართველოსა და უკრაინის ცხოვრება ამ ჩვენს დაძაბულ **XXI** საუკუნეში ერთმანეთთან განუყოფლად გადაწყვლა და გადაჯაჭვულა. მით უფრო, რომ ამ ისტორიულ სიმბიოზს მკვეთრად ათვალსაჩინოებს

ერთი გამორჩეული პიროვნების მოღვაწეობა, პიროვნებისა, რომელიც ერთდროულად ამ წიგნის ავტორიცაა და მისი მთავარი გმირიც და რომლის ზეორიგინალური, სუპერექსკლუზიური, განუმეორებელი პოლიტიკური პროფილი დღევანდელი მრავალსახოვანი გლობალური ისტებლიშ-მენტის ფონზე კარგადაა ცნობილი მთელ მსოფლიოში და, ბუნებრივია, უპირველესად, მის სამშობლოში, იმ ქვეყანაში, რომლის სახელმწიფოებრიობის აღდგენასა და თანამედროვე დემოკრატიული სტანდარტებით შექმნაში მას ლომის წილი აქვს შეტანილი და რომელთან მიმართებაშიც განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს სიტყვები, რომლებიც ჩვენს მიერ ამ წინათქმის სათაურად გვაქვს გამოტანილი — „ამქვეყნად ყველაზე მეტად შენება მიყვარს.“

მიხეილ სააკაშვილის „ძალის გამოღვიძება“ ცნობილ პოლიტიკოსთა მიერ დაწერილ ამ ტიპის წიგნებს შორის განსაკუთრებული უშუალობითა და გულახდილობით გამოირჩევა. იგი მემუარული ნარატივიცაა, მიმდინარე პროცესების პუბლიცისტური ასახვაც, განვლილი ეტაპების ავტობიოგრაფიული *The summing up*-იც და მეტად პროფესიონალური პოლიტოლოგიური ანალიზიც. ეს უკანასკნელი ასპექტი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. „პური მეპურემ უნდა გამოაცხოსო“, გვეუბნება ქართული ანდაზა და, მართლაცდა, რომელი ექსპერტ-სპეციალისტი, რომელი თეორეტიკოსი პროფესორი და რომელი მასმედიის ანალიტიკოსი მოახერხებდა უფრო ღრმად, ყოვლისმომცველად, უტყუარად შეეფასებინა მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკურ-სოციალური პროცესები, დაეხატა ამ პროცესების მთავარი ფიგურანტები. ამასთანავე, წინამდებარე წიგნი მკაფიოდ და რეალისტური სამოქმედო პროგრამაცაა, რომელშიც ნათლადაა ნაჩვენები, თუ რა გამოწვევების წინაშე დგას კაცობრიობა პოსტსაბჭოთა ეპოქის მიმდინარე მომენტში, გამოკვეთილია ამ გამოწვევების დაძლევის გზები საქართველოსთვის, უკრაინისთვის, და საერთოდ, დემოკრატიული მსოფლიოსთვის, რომელიც აგონიაში მყ-

ოფი რუსული იმპერიის ბოლო გაბრძოლების, ქრისტიანული და პუტინის მიერ დროებით რეანიმირებული, ოლიგარქიაზე, მაფიაზე, მზაკვრულ „ჰიბრიდულ ომსა“ და დაუფარავ აგრესიაზე დაყრდნობილი საფრთხეების წინაშე დგას.

სანამ წიგნის კითხვას შეუდგებოდეს, მანამდე სასურველია მკითხველმა მასალის ადეკვატურად აღსაქმელად „ძალის გამოღვიძების“ შექმნის მოკლე ისტორია გაიცნოს. იგი სამი ნაწილისგან შედგება. პირველი ნაწილი, რომელსაც „საქართველოს გაკვეთილები — უკრაინის გამოცდილება“ ჰქვია, ჯერ კიდევ 2016 წელს შეიქმნა და უკრაინულსა და რუსულ ენებზე წიგნად გამოიცა ხარკოვში, გამომცემლობა „ფოლიოს“ მიერ, ა. კრასოვიცკის ლიტერატურული ჩანაწერის საფუძველზე და ვ. ფედორინის რედაქტორობით. იმხანად ავტორი უკრაინაში მოღვაწეობდა და და ოდესის გუბერნატორის პოსტი ეკავა.

2016 წლის გამოცემის ანოტაცია გვაუწყებს: „მიხეილ საკაშვილი — უნიკალური ადამიანია, რომელმაც ორჯერ მოახერხა ერთ მდინარეში შესვლა. გახდა რა აზრთა ლიდერი საქართველოში, „ვარდების რევოლუციის“ ტალღით მოსული, ის 10 წლით ჩაუდგა სათავეში ამ ქვეყანას და წარმოუდგენლად შეცვალა იგი, ახლა კი აზრთა ლიდერი გახდა უკრაინაში, რომელიც სწრაფი ტემპით ვითარდება. მას ოდესის გუბერნატორის პოსტი უკავია, თუმცა ფაქტობრივად ის მხოლოდ რეგიონული მასშტაბის პოლიტიკოსს არ წარმოადგენს. ამჟამად, ის თავის გამოცდილებას რადიკალური ცვლილებების კუთხით მოდუნებულ უკრაინელ პოლიტიკოსებს უზიარებს. წიგნში ის მოვკითხობობს თავისი ოჯახის შესახებ, იმ გარემოებებზე, რომელთაც შექმნეს რევოლუციური ვითარება საქართველოში 2003 წელს, თავისი გუნდის ძალაუფლებაში მოსვლაზე და სისტემურად გვაცნობს საქართველოში გატარებული რადიკალური რეფორმების არსს, ამასთანავე ყურადღებას ამახვილებს არა მხოლოდ წარმატებებზე, არამედ აანალიზებს წარუმატებლობების მიზეზებსაც. ყოველ თავში

პარალელებია გავლებული დღევანდელ სიტუაციასთან უკრაინაში, რომელიც ავტორმა ღრმად, შიგნიდან შეისწავლა. ცალკე, რაც ძალზე აქტუალურია დღევანდელი მკითხველისთვის, რომელსაც აღელვებს უკრაინასა და რუსეთს შორის არსებული ურთიერთობები, აგრესია დონბასსა და ყირიმში, ქართველი პრეზიდენტი მოგვითხრობს საერთაშორისო დიპლომატიის შიდა სამზარეულოზე 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომის წინ და დეტალურად აღწერს საომარი კონფლიქტის განვითარების პროცესს. წიგნში მოყვანილია არა მხოლოდ საქართველო-რუსეთის ურთიერთობების ბევრი, აქამდე უცნობი დეტალი ბოლო 10 წლის მანძილზე, არამედ მოთხოვილია სააკაშვილის პუტინთან და სხვა პოლიტიკოსებთან პირადი ურთიერთობის შესახებ. ასევე, მოცემულია თანამედროვე უკრაინის პორტრეტი, რომელსაც თან ერთვის ამ ქვეყნის პოლიტიკოსებისათვის გასათვალისწინებელი, სწრაფად შესასრულებელი რეკომენდაციები.

მაგრამ უკრაინული გამოცემის შემდეგ სამი წელი გავიდა და ამ ხნის მანძილზე ბევრი რამ მოხდა, ამიტომაც ავტორმა წინამდებარე ქართული გამოცემისთვის წიგნს კიდევ ორი ნაწილი დაუმატა. მეორე ნაწილში, — „მოუხელთებელი წამი“ — აღწერილია ის მოვლენები, რომლებიც შემდგომში მოხდა უკრაინასა და საქართველოში, ხოლო მესამე ნაწილია „მოგონებები მსოფლიო მოღვაწეებზე, რომლებთანაც მიმუშავია“, სადაც ზუსტი, გამოკვეთილი შტრიჩებით იხატება ჯორჯ სოროსის, დევიდ პეტრეუსის, ბილ და ჰილარიო კლინტონების, ლეხ კაჩინსკის, ნიკოლა სარკოზის, რიჩარდ ჰოლბრუკის, ჯონ მაკეენის, ჯორჯ ბუშის, ბარაკ ობამას, ბორის ელცინის, ბორის ნემცოვისა და დონალდ ტრამპის დოკუმენტური პორტრეტები, პირუთვნელადაა გადმოცემული ცოცხალი შთაბეჭდილებები და განზოგადებულია ის უდიდესი გამოცდილება, რომელიც ავტორმა დღევანდელი მსოფლიოს ლიდერებთან ურთიერთობით შეიძინა.

ამჯერად თქვენს წინაშე მიხეილ სააკაშვილის „ძალის გამოღვიძების“ ქართული, შევსებული ვერსიაა. უეჭველია, ეს წიგნი კიდევ არაერთ ენაზე ითარგმნება და გამოიცემა, რაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს თავისუფალი, ნათელი, დემოკრატიული მომავლისკენ, ცივილიზებული განვითარებისკენ ორიენტირებული ყველა პროგრესული ძალის გამოღვიძებას საქართველოშიც, უკრაინაშიც და, ზოგადად, მთელს მსოფლიოში.

მიხეილ ანთაძე

2019



საქალითველოს  
გაკვეთილები –  
უკრაინის  
გამოცდილება



## შესავალი

2012 წლის პირველ ოქტომბერს, საპარლამენტო არჩევნების დღეს, გადავწყვიტე დავმშვიდობებოდი იმ საქართველოს, რომელიც შევქმენი.

მაიმედებდნენ, რომ აუცილებლად გავიმარჯვებდით. ამასვე ადასტურებდა ყველა გამოკითხვა. მე კი ვუყურებდი ადამიანებს თვალებში და მათში სულ სხვა რამეს ვკითხულობდი.

დილით ადრე, თბილისში ხმა მივეცი და ვერტმფრენით სვანეთში გადავფრინდი. სულ რაღაც 7-8 წლის წინ, ეს მაღალმთიანი მხარე დაღუპულ ადგილად ითვლებოდა. იქ იტაცებდნენ და კლავდნენ ადამიანებს, მოსახლეობის უდიდესმა ნაწილმა დატოვა იქაურობა. არათუ უცხოელები, ქართველებიც კი არ ჩადიოდნენ იქ — გზები არ იყო.

ჩვენ 200 მილიონ დოლარად დავაგეთ შესანიშნავი ბეტონის ტრასა, აღვადგინეთ გზების უმრავლესობა, რომელთაც სვანეთის ისტორიულ კუთხეში მივყავართ; ავაშენეთ ორი სათხილამურო კურორტი, გავიყვანეთ ახალი ელექტრონხაზი, აღვადგინეთ ძველი კოშკები და ტაძრები, შევქმენით უნიკალური მუზეუმი. ადამიანები დაბრუნდნენ თავიანთ სახლებში და მხარეც გაცოცხლდა.

ვერტმფრენი დაეშვა აეროპორტის ასაფრენ ბილიკზე, რომელიც მესტიაში ავაშენეთ — ერთ-ერთი ყველაზე ორიგინალური მსოფლიოში. იქ ორმოცი წუთი დავყავი.

სვანეთიდან გავფრინდი რაჭაში, რომელიც ოთხმოცდაათიან წლებში გაპარტახებული და თითქმის დაცარი-ელებული იყო. ჩვენ იქ ავაშენეთ ლვინის ქარხანა და ხალხ-

მა ყურძნის გაყიდვით იმაზე ათჯერ მეტი შემოსავლის მიღება დაიწყო, ვიდრე ადრე. შუა შემოდგომისას, რაჭა სავსე იყო უცხოელი ტურისტებით, მოძრაობდა მანქანები უკრაინული, რუსული, რუმინული, თურქული ნომრებით, ისმოდა გერმანული საუბარი. იმავეს ვხედავდი ყველგან, სადაც კი ჩავდიოდი.

შემდეგი პუნქტი იყო ქუთაისი, ჯერ კიდევ ახლახან მომაკვდავი ქალაქი, მოძველებული, მთლიანად გაჩერებული წარმოებით. აქ მცხოვრებთა ნახევარს ქალაქი მიტოვებული ჰქონდა, დარჩენილები კი ახლომახლო სოფლებში მოწეული თავიანთი ბოსტნეულით ცდილობდნენ თავის გატანას. ვერტმფრენი დაეშვა პარლამენტის ახალი შენობის წინ, რომელიც ქუთაისში გადავიტანეთ. ქუთაისში კეთილმოვაწყვეთ ქალაქის ცენტრი. აგრეთვე ავაგეთ ახალი საერთაშორისო აეროპორტი, რომელიც მოკლე ხანში, წელიწადში — დაახლოებით მილიონ მგზავრს მიიღებს — არ არის ცოტა იმ ქალაქისთვის, რომელიც თითქმის გამქრალი იყო საქართველოს რუკიდან.

შემდეგ გადავფრინდით ანაკლიაში, სადაც 2007 წლამდე რუსული სამხედრო ბაზა იყო განლაგებული. ღარიბ-ღატაკი სოფლის ადგილას ახლა ოთხი ხუთვარს კვლავიანი სასტუმრო მუშაობდა, ექვსი კი — შენდებოდა. გაჩაღებული იყო სამუშაოები ლაზიკის ღრმანწყლიანი პორტის კეთილმოსაწყობად. ესპანელ არქიტექტორებთან ერთად გავაშენეთ ბულვარი, ულამაზესი განათებით, გავიყვანეთ რკინიგზა, საავტომობილო ტრასა. ერთადერთი, რაც ცოტა განწყობას გვიფუჭებდა, იყო ის, რომ სასტუმროს მეორე სართულზე ასულს, შეგეძლო დაგენახა რუსული ჯავშანმანქანები, რომლებიც ოკუპაციის ხაზზე, ქალაქიდან ორ კილომეტრში იდგა.

გამოსამშვიდობებელი ვოიაჟი დავასრულე ბათუმში, რომელიც ჩემი პრეზიდენტობის მთავარი პროექტი გახდა. არაფრისგან ჩვენ შევქმენით ახალი ბრენდი — ევროპის



ბათუმური სასწაული



ანდრეა ბოჩელი, „ბესამე მუჩო“, ბათუმი



პოლონური სიმღერა ბათუმზე

ყველაზე სწრაფად განვითარებადი რეგიონი და ქალაქი, ახალი ქვეყნის სახე, სინგაპურის და ჰონკონგის ქართული ნაირსახეობა. საკმაოდ მივარდნილი და მიყრუებული ადგილი გადავაქციეთ ქალაქად ორასათასიანი მოსახლეობით, თანამედროვე ინფრასტრუქტურით, გათვლილი ნახევარ მილიონ ადამიანზე, სადაც შენდებოდა „როიალ კარიბიანის“ ახალი ტერმინალი და აშენდა ახალი აეროპორტი.

დავდიოდით ქუჩებში. გამვლელები გვიღიმოდნენ და ხელს გვიქნევდნენ. ჩემმა მეგობარმა, ლევან ვარშალომიძემ, რომელიც აჭარის მინისტრთა კაბინეტს ხელმძღვანელობდა, მითხრა: „ისინი თვალთმაქცობენ, გვიღიმიან, მაგრამ ჩვენ წინააღმდეგ აძლევენ ხმას“. ვარშალომიძე დანარჩენებზე გამჭრიახი აღმოჩნდა. როგორც მე, ისიც წინასწარ გრძნობდა, რომ დავმარცხდებოდით.

სანაპიროსთან, კაფეში, ჩემთან NDI-ის ამერიკელი დამკვირვებელი მოვიდა. მან მითხრა: „ბატონო პრეზიდენტო, ჩვენ დღეს ვაკვირდებით და ვხედავთ, თუ როგორ მიმდინარეობს არჩევნები, მაგრამ ყოველივე ეს, როგორც არ

უნდა დამთავრდეს იგი, — აქ ყველაფერი ათვალსაჩიოებს, რაც გაგიკეთებიათ. თქვენ აბსოლუტური სასწაული მოახდინეთ და ეს ჩვენთვის სრულიად ნათელია“.

დღე გაჭიანურდა. ბათუმის „შერატონის“ ნახევარ — ლუქსში საწოლზე დავეგდე და ორ საათზე მეტხანს მეძინა.

რვის ნახევარზე თბილისში გამოვფრინდით. რვა საათისთვის ეგზიტპოლების შედეგების გამოცხადება იყო დანიშნული. თანამგზავრები ცდილობდნენ ჩემთვის თვალი აერიდებინათ. მათ უკვე იცოდნენ წინასწარი მონაცემები. მარცხის სუნი ჰაერში ტრიალებდა.

თბილისში, სრულიად მშვიდად და ყოველგვარი დაყოვნების გარეშე, ოპოზიციის გამარჯვება ვალიარე.

მინდოდა, რაც შეიძლება სწრაფად გადამეფურცლა ეს გვერდი.

ირგვლივ ყველანი სამგლოვიარო განწყობით იყვნენ, მაგრამ მე თავს მშვიდად და მტკიცედ ვგრძნობდი. შეიძლება ითქვას, ამაღლებული განწყობაც კი მქონდა. ჩემი ქვეყნისა და ჩემი ცხოვრების მნიშვნელოვანი ეტაპი მთავრდებოდა.

საჭირო იყო გზის გაგრძელება.



სიმღერა ვაზზე